



ქვეყნული
მეცნიერთა

XI.

ყოველკვირეული გაზეთი.

XI.

№. 12

კვირა, 16 მარტი 1903 წლისა.

№. 12

გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კან. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., საშა თვით 2 მან., თათხ ნაშენი—15 კან.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერაკითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვადის» რედაქციაში, საშიორის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция «КВАЛИ».

შინაარსი: ეკონომიური განვით. მე-XIX საუკუნეში.— შინაურა მიმოხილვა.—მიწის სიმცირე ჩვენ გლეხობაში, ნ—ელი—სა.—გვ. აბაშიძე.—სხვადასხვა ამბები.—კორესპონდენტები.— რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—თავ. კრ. აბაშიძის გარდაცვალებაზე, ლექსი ბ. ანას-პარკელისა.

რედაქციისაგან დამოუკიდებელი მანკისა გამო ამ ნომრის მხოლოდ ნახევარი—8 გვერდი—გამოდის.

რანგები ძველებურათ უსისტემოთ, უზღანოთ როდი იცავენ კულტურის, პროგრესის ინტერესებს; იმათი მოღვაწეობა იდეალთან შეთანხმებულ-შეფარდებულია, იმ იდეალთან, რომელსაც ეკუთვნის მომავალი, როგორც ისტორიულ აუცილებლობას. საწარმოვეო ძალთა განვითარება და მათი მეოხებით აყვავებული კაპიტალისტური წარმოება ყოველგვარ განკერძოებას საზოგადო ცხოვრებაში თანდათან სპობენ და მის ალაგას ისეთ პირობებს აძლიერებენ, რომელნიც კაცობრიობას უქაღიან ერთობის, ძმობის და სამართლიანობის დამყარებას.

ეკონომიური განვითარება მე-XIX საუკუნეში.

მეცხრამეტე საუკუნეში საზოგადოებრივი ცხოვრება და საზოგადო მეცნიერება საოცარის სისწრაფით განვითარდნ. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნემ შესძლო სოციალური ევოლიუციის კანონების გათვალისწინება და დღეს ჩვეულებრივი მომაკვდავისთვისაც კი ნათელია ის, რისიც გაგება ძველ დროში თვით გენიოს არისტოტელს ვერ მოეხერხებია. ამ გენიოსს მომავალშიაც ვერ წარმოედგინა ისეთი საზოგადოება, სადაც მონობა არ არსებობდეს. დღეს მოწინავე ქვეყნებში ასეთი შეხედულობის უსაფუძვლოება ყველასათვის ცხადზე უცხადესია. მაგრამ ეს ფაქტი, რასაკვირველია, იმას არ ამტკიცებს, რომ ახლანდელი უბრალო მომაკვდავი არისტოტელზე უგონიერესი იყოს. ეს ფაქტი მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ გენიოსის აზროვნებაც განსაზღვრულ ისტორიულ პირობათა ფარგალშია მომწყვდეული და მისი შეხედულებაც მხოლოდ არსებულ საზოგადო ურთიერთობის ფილოსოფიაა და ამ ურთი-ერთობაზე დამყარებული ლოღიკური დასკვნა. სანამ ეკონომიური განვითარება ამ ურთიერთობაში ცვლილებას არ მოახდენს, მანამდის არავის ეჭვი არ ებადება, რომ ძველი წეს-წყობილება და შეხედულობა არაა ქეშმარიტებისა და სამართლიანობის გამოძახებელი. მაგრამ ეკონომიური ზრდა ახალი ელემენტების გაძლიერებით და გამრავლებით ახალ ფილოსოფიას, ახალ იდეალებს უმზადებს ნიადაგს და ძველი შეხედულობათა სიყალბე აშკარა ხდება. მეცხრამეტე საუკუნე იმითაა დიადი, რომ მის განმავლობაში ცხოვრება საკმარისათ განვითარდა, გართულდა და გამოირკვა საზოგადოების შემადგენელ ნაწილთა ფიზიონომია. ამნაირათ შესაძლებელი შეიქნა მომავალის გათვალისწინება და იდეალის გასახორციელებლათ საქირო ღონისძიებათა კრიტიკულათ შესწავლა. დღეს კაცობრიობის მოწინავე

აი ამ ეკონომიურ ევოლიუციის გამოკვლევა იქნება საგნათ ჩვენი წერილებისა. მაგრამ აქ შეგვიძლია შევენოთ მხოლოდ ძირითად მიზეზებს და თვისებებს ამ ევოლიუციისა. მკითხველს ზოგადათ გაფუთვალისწინებ ტენიკის განვითარებას და მის გავლენას წარმოების ფორმაზე, ძველებურ მეურნეობაზე, კაპიტალისტურ წარმოებაზე და საზოგადოებრივ ურთიერთობაზე. ამ კითხვების შესწავლა მოითხოვს ისტორიულ, ეკონომიურ და სტატისტიკურ ცნობების კრიტიკულათ განხილვას; ამისათვის კი აუცილებლათ საქიროა მოკლეთ განვმარტოთ ის ეკონომიური პრინციპები, რომლითაც ვიხელმძღვანელებთ ჩვენ წერილებში.

ყოველ ნივთს, საქონელს მხოლოდ იმიტომ აქვს ფასი, რომ ის შრომის ნაყოფია, რომ მას შეაღია ადამიანმა (პირდაპირ თუ არა პირდაპირ—ევ სულ ერთია) თავისი ძალ-ღონის ნაწილი. მდინარეში წყალი ან მზის სხივები ცაში მუქთია, მაგრამ ამ წყალსაც და ამ სხივებსაც ფასი ედება, როდესაც წყალის მოტანაზე, აღუღებაზე ან მზის სიბოძა (სხვადასხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ) გარდაქმნაში ადამიანის ძალა იხარჯება. აი ეს საშუალო ძალა არის დედაბოძი, რომლის ნაყოფია მთელი ქვეყნიერების სიმდიდრე და სწორეთ ამ დედაბოძის ისტორია არის საფუძველი ეკონომიური მეცნიერებისა. მაშ თავდაპირველათ გამოვიკვლიოთ საშუალო ძალის და ღირებულების შორის არსებული დამოკი-

დებულება, თუ გვსურს გავითვალისწინოთ კაპიტალისტური წარმოების და ურთიერთობის პრინციპი, ძირითადი თვისებები.

ყოველ ნივთის, საქონლის განხილვა შეიძლება მისი თვისების და რაოდენობის მხრით. პირველ მხარეს აქვს უფრო კერძო მნიშვნელობა და საქონლის ღირებულებაზე მას არ აქვს გავლენა. მართლაც ერთი და იგივე თვისება ყველას ერთნაირად არ მოსწონს, მაგრამ მაინც საქონელს ერთი ფასი აქვს ყველასთვის. ბაზარზე სხვადასხვა საქონლის ერთმანეთზე გაცვლის დროს სახელმძღვანელოთ არ მიიღება საქონელთა სიმშვენიერე, სიმაგრე და სხვა თვისებები. მაგ., როდესაც ერთი ყიდის აბრეშუმეულობას და მეორე შეშას ან მელანს, მაშინ ორივე ხელმძღვანელობენ იმით, თუ რამდენი სამუშაო ძალაა დახარჯული შეშის, აბრეშუმის ან მელანის დამზადებაში. მელანი და შეშა თხოულობს ნაკლებ შრომას, ვინემ აბრეშუმის ქვის მოვლა და აბრეშუმეულობის ქსოვა; ე. ი. ერთზე იხარჯება მეტი სამუშაო ძალა, ვინემ მეორეზე; სხვანაირად რომ ვსთქვათ: ორი საქონელი ბაზარზე ერთი მეორეს უბირდაპირდება, როგორც მეტ-ნაკლები შრომის ნაყოფი და, მაშასადამე, ორ საქონელ შორის ბაზარზე არსებობს მხოლოდ ის განსხვავება, რომ ერთზე მეტი სამუშაო ძალაა დახარჯული, ვინემ მეორეზე. აქედან ცხადია, რომ საქონელთა გაცვლაზე ან გასაცვლელ ღირებულების (მნიშვნელობა) განსაზღვრაზე აქვს გავლენა სამუშაო ძალის რაოდენობას და არა საქონლის თვისებას.

სახმარ ღირებულებას (потребительная ценность) და გასაცვლელ ღირებულებას (мѣровая ценность) სულ სხვადასხვა საზომი აქვს. როდესაც საქონელი მომხმარებელის ხელში გადადის, ის მხოლოდ სახმარ ღირებულებას წარმოადგენს და პირდაპირ აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას; ამ შემთხვევაში მომხმარებელს აინტერესებს ამ საქონლის რაოდენობა, თვისება და ანა ამ სამუშაო ძალის რაოდენობა, რომლის გამოშვებაც არის ეს საქონელი. პირიქით, სანამ საქონელი ბაზარზე ტრიალებს, ის მხოლოდ გასაცვლელ ღირებულებას წარმოადგენს და მისი საზომი მასში განხორციელებული სამუშაო ძალის რაოდენობაა.

ასეთია ორი მხარე ყოველი ნივთისა, საქონლისა. ეს ორი მხარე ერთი მეორისაგან დამოუკიდებელია და ბაზარზე აქვს მნიშვნელობა მხოლოდ ერთ მათგანს, ე. ი. გასაცვლელ ღირებულებას. ამ უკანასკნელის გამოკვლევა აუკლებლათ საჭიროა.

ერთი საქონლის, მაგ., მანულის გაცვლა შეიძლება რკინაზე, ოქროზე, შეშაზე, პურზე და სხვა. მაგ. 100 ანაშინი მანუდი შეიძლება გავცვალოთ 10 ფუთ რკინაზე ან 3 საყენ შეშაზე ან 50 ფუთ პურის ფქვილზე, ე. ი. 100 ან. მ. = 10 ფ. რკ. = 3 საყ. შ. = 50 ფ. პ. ეს ნიშნავს იმას, რომ თითოეული ამათგანის გასაცვლელი ღირებულება ერთმანეთს ეთანასწორება. მაგრამ რაა საერთო ამ სხვადასხვანაირ საქონლებში, რა საფუძვლით ეთანასწორებიან ერთი მეორეს მათი ღირებულებანი, რა უფლებით ვაღარებთ სხვადასხვა საგნებს ერთმანეთს?

საერთო ამ საგნებში ისაა, რომ თვითეული მათგანი შრომის ნაყოფია; ამ საქონელთა გასაცვლელი ღირებულება იმიტომ ეთანასწორება ერთიმეორეს, რომ თითოეული მათგანი თანასწორად შრომის გამოშვებულა; ამ სხვადასხვა გვარ საგნებს ერთი მეორეს იმ საფუძვლით ვაღარებთ, რომ თითოეული მათგანი ირის განხორციელება სამუშაო ძალისა და მათი ერთმეორესთან შედარება მათში განხორციელებულ სამუშაო ძალთა რაოდენობის შედარებას ნიშნავს.

გასაცვლელი ღირებულების საფუძველი არის ადამიანის სამუშაო ძალა და როდესაც სხვადასხვა საქონელს ვცვლით

ერთი მეორეზე, მაშინ ჩვენ შევძლებოდათ გვაქვს მათ გაცვლებაში დახარჯული სამუშაო ძალა; ამ შემთხვევაში ჩვენთვის არ არსებობს მშრომელის პიროვნება, მისი ინტერესები, ჩვენ არც საქონლის ფორმა გვინტერესებს; ჩვენს წინაშე მხოლოდ განხორციელებული სამუშაო ძალაა და საქმე ამ ძალთა რაოდენობასთან გვაქვს. მაგრამ რით გაიზომება სამუშაო ძალის რაოდენობა?

ამაზე შემდეგ წერილში.

შინაური მიმოხილვა.

კი ხანია ჩვენს გაზეთში „შინაური მიმოხილვა“ არ ყოფილა, მარა ეს იმას კი არ ნიშნავს რომ შინაური ამბები უყურადღებოდ დაგვეტოვებინოს და „გარეულს“ გამოვდგომოდეთ. პირ-იქით, ჩვენი შინაური ამბები იმდენათ მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ ხშირად ცალკე წერილებს ვუძღვნიდით და გულდასმით ვარჩევდით. მხოლოდ წერილი შემთხვევები გვრჩებოდა განუსჯელი „შინაურ მიმოხილვაში“ და მათი უბრალო ანუსხვით ვკმაყოფილდებოდით. რას იზამთ, ხან დიდი ჩრდილავს ბატარას, ხან კი როცა სხვილი მოვლენა აღარ არის, წვრილმანები ბატარობენ. ახა რომელ კატეგორიაში მოვქციოთ მაგ. თფილისის ქალაქის მამათა მოღვაწეობა, თუ არა წვრილმანთა სამეფოში. მართალია საბჭო განახლდა, ბევრი ახალი ხმოსნები აირჩიეს, მარა რა გამოვიღო, საქმე ისევ ძველებურად მიჩანჩალობს; განახლება არაფერში ეტყობა. ამათი თაობირიც, ისე როგორც ძველების, ერთი საცოდავობაა, მნაცკანის ხიდეს, ბორანს და სხვა ასეთ წვრილმანობას ვერ გასცილდენ და მთელ თავის სიბრძნეს ამ უნაყოფო ბჭობას ანდამებენ. ვერც ერთი ღირსშესანიშნავი კითხვა ვერ აღძრეს, ვერც ერთი საყურადღებო საქმე ვერ დაუწყეს, თუ სახეში არ მივიღებთ, რასაკვირელია, ხორცის ღუქნებს, რომელთა მოწოდება მეყასავებთან კონკურენცია და ხორცის გაიფება იყო, ნამდვილათ კი ყასაბები უწევდნენ მოცილეობას როგორც სიიაფით, ისე სისალით. ერთი სიტყვით, ჩვენს მამებს არ ეხერხებათ საქალაქო მეურნეობა ფართო ნადავზე დააყენონ, engrand იმოღვაწეონ. ისინი თავიდანვე წვრილმანობაში არიან გართული, ვალს იხდიან, ფორმას ასრულებენ. ეტყობათ ბატონი ხმოსნები ძლიერ კმაყოფილი ხალხია, კმაყოფილთა ბაიჩაღის მატარებელია და თავის უძრავობითაც კარგათ გრძობენ თავის თავს და არ დაიმდურებენ თავის მომავლინებელთ. ყოველი დაწესებულების განახლება შეუძლია მართლა ახალ ელემენტებს, ე. ი. საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც დაბეჩავებულათ გრძობს თავს და იძულებულია თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ ცვლილება მოახდინოს. ხოლო რაკი ამ ნაწილს ქალაქის სააქმეებში ხმა არა აქვს, თავისი წარმომადგენლები არა ყავს, ცხადია ცვლილების მოხდენაც შეუძლებელია და რამდენჯერაც უნდა განახლდეს საბჭო—ეს იქნება განახლება პირების და არა საქმიანობის. ხმოსნათ პეტრე იქნება თუ პავლე, სულ ერთია, თუ კი ისინი ერთ ლ იმავე კმაყოფილთა წრეს ეკუთვნებიან. და აი, ჩვენი ვითომ და ახალი საბჭოც ისევე მოქმედობს, როგორათაც მოქმედებდა ძველი და უნდა ვაფიქროთ—ასევე განაგრძობს ბოლომდის.

* *

ამას წინეთ „ცნ. ფურცელში“ წერილი იყო ქუთაისის ადვოკატების შესახებ და მათ უმოქმედობას გვარიან რბილათ ეხებოდა. ქუთათური ვეჭილები საზოგადო საქმეს გაურბიან, ასე გასინჯეთ ბევრი ქართულ მწერლობასაც კი არ ადევნებენ თვალყურს—ამბობდა ავტორი. და აი, ეს სუსტი საყვედურიც კი, იმავე გაზეთის სიტყვით, დიდათ სწყენიან ბატონ

ვექილთ, აღშფოთებულან, აღაპარაკებულან და ბოლოს გადაუწყვეტიათ, პასუხი მოვთხოვთ ავტორსო, როგორც ხედავთ, ეს ბატონები ისე გამედიდურებულან, რომ საყვედურსაც კი ვერ ითმენენ. და ეს ალბათ იმიტომ, რომ ერთობ ჩვეულებრივ არიან ხელშეუხებლობას და მათი საქმეების გამოუმჯდარებლობას. მწერლობაში ხშირათ შეხედებით დრტინვას ექიმზე, ავთმყოფს ვერ უწამლოა, მასწავლებელზე, სკოლას ვერ უძღვებოა და სხვა. ამ საერთო კრიტიკიდან გამორიცხული არიან ადვოკატები, რისთვის ან რატომ—ეს ალახმა უწყის, თუმცა ისინი სხვებზე უფრო თუ არა, ნაკლებათ მინც არ არიან მხილების და კრიტიკის ღირსნი. და მართლაც, ჩვენი დიპლომათების არც ერთი წრე ისე გატაცებული არ არის თავისი პირადი საქმეებით, როგორითაც არის ადვოკატთა წრე. ესენი სცნობენ მარტო თავის თავს და თავის ჯიბეს—სხვა ყოველივე ამოება. ექიმებისაგან, მაგ., ვითხოვთ ღარიბთა მუქათა წამლობას და თავისდადებას, რასაც ხშირათ ასრულებენ; და ეს არც არავის გაუკვირდება. ჩვენებური ვექილი, პირიქით, არაფერს ამ უყურებს, გარდა თავის ჯიბისა და ხელს კიდებს ისეთ საქმეებს, სადაც გამოსარჩენს ხედავს—და ეს, წარმოიდგინეთ არავის არ უკვირს. ასე გათამამდენ ისინი და ახლა საყვედურსაც აღარ კადრულობენ, როგორ გაგვიბედესო. სწორეთ ქუთაისის ადვოკატებია ღირსი ყოველივე საყვედურის—და აი ესენი გვარწმუნებენ, კარგი ხალხი ვართო. ფიცი გეწამს, მაგრამ ბოლო გვაკვირვებს. ამათ ისე მაგრათ მოიყრუეს ყურები, რომ მათი მეზობელთა ოხვრამ მოსკოველ და ვოლოგდელთა ყურამდის მიადწინა, ხოლო მათ კი არ გაიგონეს. აბა ერთი საზოგადოებრივი შემთხვევა ყოფილიყო—როგორ სმენათ გადაიქცეოდენ და საქმესაც ხელს ჩასქიდებდენ. და აი, ასეთი პირები გვაჯერებენ, უანგარონი ვართო! კმარა, კმარა, კარგა ხანია გიცნობთ, საქიროა ახლა მინც თქვენზე იცნათ თავი თქვენი.

* *

ერთ ხათბალაში პატარა ოზურგეთია ჩამხული. ის ჩივის სადაც ჯერარს ტყუილ-უბრალოთ მოგვხარჯეს, რვაასი მანათი დაგვათვლიეს და ყველა ეს უკანონოაო. აი საქმე, „ცნობ. ფურც.“ სიტყვით, რაში ყოფილა: „მარშან აგვისტოს პირველ რიცხვიდან ქუთაისიდან 75 ყაზახ-რუსი გაუგზავნიათ გურიაში ისინი დაუბინავებიათ ოზურგეთში, ხოლო მათი სადგომის, შეშის, განათების და სხვა ამისთანაების ქირა ქალაქისთვის დაუკისრებიათ. ეს ხარჯები ოზურგეთის ზვითმართველობას არ უკვნიან კანონიერათ და სექტემბერშივე დაუდგენია, უარი ვუთხრათ ამაზეო. მაგრამ ეს არ შეუწყნარებია გუბერნატორს და ასე იძულებული გაუხდია ხარჯები ეხადა. ყაზახ-რუსთა წასვლამდის ქალაქს დახარჯვია მათზე რვაასი მანათი და აი ახლა სენატს თხოვს ეს ფული კანონის გარეშე გადაგვახდევინოს და უკანვე დაგვიბრუნეთო.

* *

საზოგადო სარბიელის გაფართოვების შესახებ წასულ კვირაში ლაპარაკი იყო თბილისის სამეურნეო საზოგადოებაში. აქ ბ. სააკოვმა წაიკითხა მოხსენება ერობაზე და ითხოვა მისი შემოღება ჩვენში. თავის თავათ ცხადია, რომ ერობას, ე. ი. მცხოვრებთა წარმომადგენელთ უფრო შესტივია გული და უფრო იცნობს ადგილობრივ საქიროებებს, ვინემ შორიდან მოსული მოხელე. მოხელე ყოველთვის სახელმწიფო დაწესებულებას, კანცლარიებს აქცევს მეტ ყურადღებას, ის კანცლარიების წარმომადგენელი და გამოხატველია. მისი მოქმედება ამიტომ ავიწროვებს საზოგადოების მოქმედებას. ესენი ერთმანეთს პირისპირ უდგანან და ერთის შესუსტება უეჭველათ მეორის გაღონიერება იქნება. ეს ნათ-

ლათ დაამტკიცა ბ. სააკოვმა ციფრებით. შიდა რუსეთში, სადაც ერობა არსებობს, სწავლა-განათლებლაზე იხარჯება შემოსავლის 17 პროცენტი, ექიმობაზე 27 პროცენტი, ხოლო ჩვენში, სადაც ყოველივე ამას ადმინისტრაცია განაგებს, სწავლაზე იხარჯება 3 პროცენტი, ექიმობაზე 10, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებებზე 65 პროცენტი! აი ნიმუში ბიუროკრატიული მართვისა. ასეთ გარემოებაში ერობა დიდ ნაბიჯათ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ერობის შემოღება შეეკავშირებულია ბევრ სხვა რეფორმებთან, რომელზედაც ლაპარაკობენ რუსეთის სამეურნეო კომიტეტები და ჟურნალ-გაზეთები. ამ ყმათ ცხოვრება ისე გართულდა, იმდენი მოთხოვნის დაიბადა, რომ მათ დასაკმაყოფილებლათ უფრო ფართო კალაპოტია საჭირო, ვინემ ერობაო.

* *

მკითხველს ეცოდინება, რომ თბილისის სამეურნეო საზოგადოებასთან გამართულია ვენახის საწამლი მასალის და მანქანების ვაჭრობა. ეს საქმე მომგებიანი ყოფილა, რაიცა ჩანს ანგარიშებიდან; მაგ. წმინდა მოგება დარჩენილა 1898 წ. 1504 მ., 1899 წ. 5951 მ., 1900 წ. 232 მ., 1901 წ. 2586, ხოლო 1902 წ. 986 მ.—სულ 11,259 მ. მაგრამ ეს ციფრი ერთი ორათ და სამათ იმატებდა, საზოგადოება რომ ამ საქმეს ყურს უგდებდეს და რივიანათ მოაწყობდეს. მას მთელი ეს აღებმცემობა კერძო კაპიტალისტის ხელში ჩაუგდია (ფრიდონოვი), მისგან იღებს ნისიათ გასაყიდ საქონელს, უბდის ცალკე ნისიის პროცენტებს, ცალკე საქონელს უსაღებს და ზამობას უჩენს—ერთი სიტყვით გამოდის ფრიდონოვის აგენტათ და კომისიონერათ. ეს სრულიად არ შეფერის ისეთ დიდ დაწესებულებას, როგორიცეს საზოგადოებაა; მას ბევრი საქიროება აქვს დასაკმაყოფილებელი, ხოლო სახსარი კი აკლია, და ამავე დროს თავის თავი დაუეიწყია და კერძო პირს ამდიდრებს! ამას ისიც დაუმატეთ, რომ ხალხი საზოგადოებას უფრო ენდობა, ვინემ კერძო პირს; მას ნდობით ეპყრობიან, სახელი აქვს გაკეთებული და ყველა ამით სარგებლობს ბ. ფრიდონოვი! ის თავის საქონელს საზოგადოების წყალობით დიდ რეკლამებს უკეთებს, ასაღებს და ჯიბეს ისქელებს! ამაზე უფრო დამცირება მთელი საზოგადოების კიდევ შეიძლება? მას ძრიელ კარგათ შეეძლო ბანკებში კრედიტი ეშოვა, ფული ესესხა და საქირო მასალა (გოგირდი, შაბაიბანი და სხ.) პირდაპირ თვითონ გამოეწერა და საქმე დამოუკიდებლათ ეწარმოებია. ან და განა საზოგადოებას უფრო არ ენდობიან საზღვარგარეთელი ვაჭრები, ვინემ ერთ პირს? ყველა ეს შეიძლებოდა და შეიძლება, მარა გაუგებარი მიზეზების გამო ეს გზა უარყოფილია და კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება ფრიდონოვის საწველ ფურათ გამხდარა...

* *

„ცნ. ფურცელი“ არ ისვენებს, ის ლაპარაკობს, ლაპარაკობს მინც, მიუხედავათ ყოველივე სიცხადისა, არაფერს არ ზოგავს ოღონდ თავისი პოზიცია შეირჩინოს და ზღანოვიჩი აქებ-აღიღოს. ის ხუთშაბათის ნომერში წელ-მოწყვეტილათ გვიპასუხებს, „უარესს უკეთესი ვარჩიეთო“. აი რით ხელმძღვანელობს თურმე გაზეთი საზოგადოებრივ კრიტიკაში. მისთვის საინტერესო ყოფილა არა სიდუხჭირის გამოძედავენება, არამედ მისი ხელის დაფარება და მერე ბოდიშის მოხდა, ეს იმიტომ ვქენით რომ „უარესს უკეთესი ვარჩიეთო“! ვისზე რით არის უკეთესი ზღანოვიჩი—ეს ალახმა და „ცნ. ფურცელმა“ უწყის. ჩვენ კი გვგონია, რომ იმ ფაქტებს შემდეგ, რაც გამოძედავენდა წყელს—მასთან შედარებით ყბად-აღებულთ კალისტრატეც კი ანგელოზია. მან წინ გაუსწრო კალისტრატეს ყველა ომების და ხრიკების ხმარებაში და თუ „ცნ. ფურც.“

ის მაინც „უკეთესათ“ მიაჩნია—მაშ დაგვისახელოს ერთი, ვინ არის უარესი, ან რა საზომი აქვს როცა სიტყვას „უკეთეს“ — „უარესს“ ხმარობს. ნუთუ საკმარისია ეს სიტყვა იხმარო და იმით დაასაბუთო. ზღანოვიჩს ვემხრობით იმიტომ, რომ ის „უკეთესია“-ო—აი „ცნ. ფურცლის“ მთელი საბუთი! თქვენთვის ის რომ „უკეთესია“—კაი ხანია გვაძინეთ, მხოლოდ რატომ უნდა იყოს სხვებისთვისაც უკეთესი—ეს კი ვერ გავგავებინეთ. აი აქ მარხია ძალღის თავი, რაც თქვენ ასე გაშინებს. მარა ვაზეთს არც ეს უკმარებია, ის ცდილობს დაგვაჯეროს იმაში, რომ ემერიკი კარგი იყო, როცა ზღანოვიჩს ემხრობოდა, რადგან მაშინ თვითმართველობის გაუქმებას არ ლამობდა, ხოლო წელს ზღანოვიჩს გადაუდგა და თვითმართველობის წინააღმდეგ ამხედრდა! ყველასათვის ცხადია, რომ არასოდეს ემერიკს ხმა არ დაუძრავს თვითმართველობის წინააღმდეგ, ეს ავტორის მოკორილი ამბავია და თუ მაინც იძახის—ეს იმიტომ, რომ მას თვითმართველობა და ზღანოვიჩი, ჰიათურელია კრება და ზღანოვიჩი, ჰიათურელთა ჯიბე და ზღანოვიჩი—ერთ და იმავე საგნათ მიაჩნია, მათი ერთმანეთისაგან დაშორება ვერ წარმოუდგენია. ასე რომ ჩვენც კი დაგვწამა თვითმართველობას ებრძვიო, რადგანაც ზღანოვიჩს ვებრძვიო.

ერთი სიტყვით, „ცნობის ფურცლის“ საბუთები, როგორც მან ზუთშაბათს გვაუწყა, ასეთი ყოფილა: ზღანოვიჩი „უკეთესია“, ვინც ზღანოვიჩს ებრძვის, ის ებრძვის ჰიათურის თვითმართველობას!

იმედია ამ, უკაცრავათ პასუხია, საბუთებს არ დაუკარგვენ შთამამავლობას!..


მიწის სიმყივრე ჩვენს გლეხობაში *)
(დასასრული).

რაც შეეხება ადგილობრივ მკვიდრთა და შიდა გუბერნიების მცხოვრებთა ინტერესების ერთნაირათ, თანასწორათ დაცვას, ჩვენ რასაკვირველია ყოველთვის ამისი მომხრე ვართ და ვიქნებით. თუ მაგალითათ საგლეხო-სახელმწიფო ბანკი სასურველათ და სასარგებლოთ არის ცნობილი რუსის გლეხობისათვის, რატომ ჩვენებურები უნდა იყვნენ მოკლებული მის სარგებლობას? თუ კი ჩვენში ხაზინას თავისუფალი მიწები აქვს (უკანასკნელი რომ ვთქვათ 3 მილიონი დესეტინა კოლონიზაციისთვის გამოსადეგი ბ. გოგინაიშვილის გამოანგარიშებით). იმიტომ უპირატესათ ადგილობრივ მკვიდრთ უნდა დაურაგდეს, რომელნიც ვაჭირვებას ვანიცილიან მიწის სივიწროვის გამო. თუ შიდა გუბერნიებიდამ ვადმოსახლებულთ უწევს მართებლობა კრედიტით დახმარებას, რატომ აქაურებს არ უნდა დაეხმაროს? ყოველივე ეს თანაგრძობის ღირსია. რა მოსაზრებით შეიძლება ააცილოთ ის დახმარება ერთ ენაზე მოლაპარაკე გლეხობას, რომელიც მეორესთვის სასარგებლოთ არის ცნობილი? ვიმეორებთ, ყოველი ზომა, რომელიც კი ასეთ განსხვავებას უარყოფს, ჩვენ სასურველათ კი არა, აუცილებლათ მიგვაჩნია და მისი მოთხოვნა სამართლიანობის მოთხოვნაა. სულ სხვა კითხვაა, როგორც ვთქვით, ზევით ამ საშვალებათაგან მოსალოდნელი შედეგები და ამ მხრით რაც ერთზე ითქმის, ის შეეხება მეორესაც.

ნუთუ მას შემდეგ, რაც მიწამ საქონლის ხასიათი მიიღო, აღებმცემობის საგანი შეიქნა, შესაძლებელია რაიმე ზომებით შევანეროთ მისი უთანასწოროთ განაწილება? ანუ უშველის რასმე აქ ბანკი, კრედიტი და ინვენტარი? ავიღოთ იგივე სახელმწიფო ბანკი, რომელიც ვითომდა გლეხების დახმარებ დაწესე-

ბულება. ვინ არ იცის, რომ ამ ბანკის დიდი მოტრთილვე იყო ვაზ. „Русск. Вѣд“. აბა დაუფუგდოთ ყური რას ამბობს ახლა ეს ვაზეთი *): „საგლეხო ბანკი ვაჭირვებულთა იმ გზას ადგა, როგორც წინა სამ წელში (მოსთ-მოქმედება ვითარდება). ერთათ-ერთი მოვლენა, რომელიც უნდა გვაშინებდეს მომავლისთვის არის შეუჩერებელი ზრდა ბანკის დაფასებისა და ვაცემული სესხებისა. ყოველ წელს მატულობს დაფასება, მატულობს სესხი და გლეხები თავის განკარგულებაში იღებენ მიწებს ისეთ ფასებათ, რომელნიც ერთობ დიდათ უნდა იქნენ ცნობილნი. უკანასკნელ ხანებში უფრო და უფრო ხშირათ ისმის ფასების უზომო აწევანზე ლაპარაკი... „ერობის სტატისტიკურ გამოკვლევებში ვხვდებით ბევრ საკვირველ ფაქტებს, რომელნიც გვიჩვენებენ რა რიგათ უმეტეს მიწების მოზილიზაციას (მიცვლა-მოცვლა). ბევრ შემთხვევაში, რომელთა მიწები იმდენათ დავალიანებული იყვენ, რომ მათი ვალეზი თვით მიწების ღირებულებას სჯარბობდენ, დღეს შეუძლიათ ისეთ ფასებში მიყიდონ გლეხებს მიწები, რომ არა თუ ვალს გადახდიან, თვითონაც ბლომათ დარჩებათ თავისუფალი თანხები. ფასების ზრდა პოლტავის, ხერსონის, კურსკის, სარატოვის, სამარის და ბევრ სხვა გუბერნიებში ისეთი იყო, რომ მათი ახსნა არაფერი რეალური პირობებით არ შეიძლება. უმთავრესი მოტივი იყო სპეკულაცია, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისევე გლეხობის ჯიბისკენ იყო მიმართული. ამ სპეკულიტიურ მოძრაობაში უმთავრეს როლს ასრულებდა და დღესაც ასრულებს სახელმწიფო საგლეხო ბანკი, რომლის დაფასებები და სესხები უცადაბლათ მეტათ დიდათ უნდა იქნენ ცნობილი. თავის საკუთარი ანგარიშით ნაყილი მიწების ყიდვაშიაც სრულიად შემთხვევითი ფასებით ხელმძღვანელობს ეს ბანკი, და არა რამე რეალური მოსაზრებით“. აი ასეთია იმ ბანკის მოღვაწეობა, რომელსაც „მართალია ვერ გაუმართლებია ის დიდი იმედები, რომელთაც მაზე ამყარებდენ, მაგრამ მაინც მეტათ დიდი (тромадная) სარგებლობა მოუტანა რუსეთის გლეხობას“ ამბობს ბ. გოგინაიშვილი. საინტერესოა ვიცოდეთ რაში გამოიხატა ეს დაუფასებელი დახმარება, რამდენათ შეამსუბუქა გლეხების ვაჭირვება? რომ კიდევ უფრო ნამდვილი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ბანკის „მოღვაწეობაზე“, საჭიროა გავიხსენოთ რომ ეს ბანკი მიწებს ყიდულობს სათავად-აზნაურო სახელმწიფო ბანკიდან, რომელიც ყველამ კარგათ იცის, უფრო საქველმოქმედო დაწესებულებაა, ვიდრე კომერციული. მისი ქველმოქმედება მიმართულია მხოლოდ თავად-აზნაურებისაკენ, უფრო კი მისი შეძლებული ნაწილი-საკენ და ეს ფილანტროპია იქამდის მიდის, რომ ბანკი თავნიდან ზარალობს, არა თუ მოგებას პოულობს; ხოლო რადგან ზარალს მაინც დაფარვა უნდა, ეს ზირალიც იფარება საზოგადო ხაზინიდან, ანუ უმთავრესათ იმავე საგლეხო ბანკის მიერ „გაბედნიერებულთა“ ჯიბიდან. უნდა მოვიფიქროთ ისიც, თუ რამდენათ დიდა დაფასება სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკში დაგირავებულ მიწებისა. ნუ ვენდობით ჩვენ შთაბეჭდილებას. იგივე „P. B.“ ამბობს (იქვე) რომ სააზნაურო ბანკი კერძო ბანკებთან შედარებით იძლევა 40% მეტს სესხს, დაფასებით კი აფასებს 30% მეტათ. ახლა თუ წარმოიდგენთ. რომ ამ დაფასებით ყიდულობს მიწებს საგლეხო ბანკი, დაწმუნდებით, რომ საგლეხო ბანკიც იმავე თავად-აზნაურობის სასარგებლოთ მოღვაწეობს და არა გლეხობის, როგორც ჩვენი პატივცემული ავტორი ფიქრობს. არ ვჩერდებით იმ მოვლენაზე, თუ რამდენათ ითბობენ ხელს საგლეხო ბანკის ოპერაციებზე კერძო კაპიტალისტ სპეკულინტები. არც იმაზე შევჩერდებით, თუ რამდენათ სასარგებლოა

*) იხ. № 11. *) „P. B.“ № 1, стр. 27, 1903 წ.



ამ აწეულ ფასებში გლეხების მიერ მიწის შეძენა, ეს კითხვა საკმაოდ გარკვეულია ჩვენი გაზეთის 8 და 9 №№-ში გ. მარ- მალაძის, „მეურნე და მეურნეობაში“.

ახლა ვიკითხოთ რა არის თავდება, რომ ჩვენშიც ასეთი არ იქნება სახელმწიფო საგლეხო ბანკის მოღვაწეობა? ჩვენი აზრით არაფერი; ბ-ნი გოგინაიშვილი რაში ხედავს მას, არ ვიცი.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, ჩვენ მეტად საგულის- ხმით მიგვაჩნია ბ. გოგინაიშვილის მოხსენება, და მით უფრო სასურველი იყო მასში კითხვის სავესებით გამოარკვევა, ცრუ მოაზრეთა წინააღმდეგ მთელი არსენალის წამოყენება. ამ მხრით უყურადღებოდ არის დატოვებული ასეთი საინტერესო კითხვა, როგორც ნიადაგის ნაყოფიერება და ძვირფასი კულ- ტურის მცენარეთა მოშენება (ჰაეის წყალობით). ეს გარე- მოვებაც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში და გათვლი- სწინებული, თორემ სხვა არა იყოს რა თვით ის უტყუარი ფაქტი, რომ ჩვენში ჯერ ისე მკაცრად არ არის დამშეული ხალხი, როგორც ევროპის რუსეთში, აუხსნელი რჩება, როცა მიწის განაწილებით მართლა ბევრათ უარეს პირობებში არის ჩვენი გლეხობა. მეორე ნაკლებად ნებათ ჩვენ მიგვაჩნია ის გარემოებაც, რომ ანგარიში ყოველგან კომლთა რიცხვის მი- ხედვით არის ნაწარმოები. რასაკვირველია, ეს მკვლევარის ბრალი იმდენათ არის, რამდენათ ასეთი ცნობები მოიპოვება ჩვენში. კომლი კი ვერ იძლევა საკმაო მკაფიო წარმოდგენას, რადგან ის სხვადასხვა კუთხეში მეტნაკლები რიცხვიდან შედ- გება, საცა ჯერ კიდევ მრავალ რიცხვოვანი, ძველებური ტი- პის ოჯახი (კომლი) ბლომათ არის დარჩენილი, იქ, რასაკვირ- ველია, მეტი მიწა საჭირო კომლზე. სხვაგან კი ნაკლები. რას წარმოდგენს ამ მხრით ჩვენი ქვეყანა, არ ვიცი. მაგრამ რასაც ავტორი არ იძლევა, იმაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს და შეიძლება უადგილოთაც ჩაგვეთვალოს, ამი- ტომ ვიტყვიტ მხოლოდ კიდევ ერთს. უმიწაწყლობის გარდა, გლეხობას მძიმე ტვირთათ აწევს მრავალი გადასახადი, რომელთა სიმძიმემ ბევრს მათგანს ააღებინა ხელი თავის მცირე მიწაზედაც. შემცდარია ის წარმოდგენა, ვითომც გლეხი ყო- ყელთვის მყიდველის როლში იყოს და არა გამყიდველის; აყიდვინებს კი გადასახადები, ავტორმა კი ეს კითხვა სრულიად უყურადღებოდ დასტოვა.

ამნაირათ ყველა ზემო თქმულიდან ცხადია, 1) რომ წვრილი კრედიტის შემოღებას არ შეუძლია გლეხის ეკონო- მიური მდგომარეობის გაუმჯობესება, წინააღმდეგ ის ხელს უწყობს სპეკულიაციის გაძლიერებას და გლეხთა უფრო ინ- ტენსიურ ექსპლუატაციას; 2) რომ სახელმწიფო მიწების და- რიგებით გლეხის მეურნეობა ფეხზე ვერ წამოდგება, თუ სხვა პირობებიც არ იქნა შეცვლილი.

ნ— ელი.

ქ ვ რ ი ვ ო ლ ა ბ ა უ ი ძ ე .

პეტერბურგიდან სამწუხარო ამბავი მოვიდა: იქ გარდაი- ცვალა ჩვენი ახალგაზდა პოეტი გრბოლ დავითისძე აბაში- ძე. განსვენებული ჯერ სულ ახალგაზდა იყო, მწერლობა დაიწყო სულ რამდენიმე წელიწადია, მაგრამ მიუხედავად ამ ხანმოკლეობისა მან თავისი ორიგინალური და ნათარგმნი ლექსებით შესამჩნევი კვალი დასტოვა ჩვენს მწერლობაში. უმკველი ნაჭი, დაკვირვება, ღრმა პსიხოლოგია და მკვირ- ცხლი ენა—აი ღირსება მისი ლექსებისა. მას სიამოვნებით წაიკითხავს ყველა წრის და ასაკის მკითხველი. სამწუხაროთ ის დიდხანს ვერ შერჩა ჩვენს პოეზიას, ავანტიურების გამო ის ეს 2—3 წელია გამოეცალმა ჩვენს მწერლობას და აი ახ-

ლა სამუდამო საფანე ჰპოვა შორეულ ქვეყანაში.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი ნიჭიერო მოსახლო!

სწავლასხვა ამბები.

9 მარტს სალამოს ხუთ საათზე დიდი ხნის ავანტიურის შემდეგ პეტერბურგში გადაიცივალა პოეტი გრიშა აბაშიძე. დროებით დასაფლავებული იქნა 13 მარტს.

ბაქას გაზეთებში დაბეჭდილია სავალდებულო დედგენი- ლებანი ქუჩებში ყრილობათა აღკრძალვის შესახებ. ამასთან გუბერნატორს გამოუცია ახალი სავალდებულო დედგენილე- ბა, რომლის ძალითაც კვირაობით საპარაკმახეროები და სა- დილაქოები უეჭველათ უნდა დაიკეტონ. ეს უკანასკნელი დედგენილება ძალაში შედის 15 მარტიდან.

10 მარტს ქალაქის პირველ ნაწილში არსებულ საპარი- კმახეროების მოსამსახურებმა განცხადება მიართვეს ქალაქის მოურავს. თხოულობენ იმათთვისაც დაწესდეს კვირაობით და- სვენება.

საკანდიტეროების მოსამსახურებმა სთხოვეს სახელოსნო გამგეობას დააწესოს იმათთვის კვირა-უქმეობით დასვენება. გამგეობამ შეიწყნარა ეს თხოვნა და დაადგინა საკანდიტერო- ებში მორიგეობა იქნას შემოღებული: კვირა-უქმეობით ზოგ- მა დილის 8-დან 12 საათამდე მიუშაოს, ზოგმა კიდევ შუა- დღიდან საღამოს 8 საათამდე. მაგრამ საკანდიტეროების პატ- რონებს არ მოწონებიათ ეს დადგენილება და ახლა სახელოს- ნო გამგეობას დაუნიშნავს საკანდიტეროებში მოსამსახურეთა საზოგადო ყრილობა ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლათ.

ბათუმში 6—8 მარტს ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესსიამ გაარჩია საქმე 21 მუშისა, რომელნიც პასუხისმგებაში იყვენ მიცემული წარსული წლის მარტში როტშილდის ქარხანაში მომხდარ არეულობის გამო. ბრალდებულებს იცა- ვდენ ვეკილები ნ. კ. მურავიოვი, ა. სტალი, ა. ბელორუსოვი (მოსკოვიდან), მაკეევი (ვოლოგდიდან), ბ. თოვანსონი (სმოლენსკიდან), ნ. ელიავა და ხომეტოვსკი, (თფილისიდან) გელაზარაშვილი (ქუთ.), ლ. ანდრონიკოვი და მ. იოლშინი (პეტერბურგიდან). საოლქო სასამართლომ 21 კაციდან მხოლოდ 8 იცნო დამნაშავეთ და მიუსჯა სიტუსალოში დაპატიმრება: სამ- სონ გაგუას 6 თვით, არუთინ აბრაცუმოვს 3 თვით. ექვთიმე პერ- ტიას, მიხაილ ხირიმიანცს, თეოფილე გოგობერიძეს, თეოფილე თებზაძეს, გერასიმ თოდუას 4 თვით, გერონტი კალანდაძეს 1 თვით.

სასამართლომ გაამართლა: ალექსანდრე აბზიანიძე, იესე ხუნდაძე, მელიტონ ჩანგველაძე, ბათლომ პაიჭაძე, ანდრე შა- ნიძე, იაგორ ბახტაძე, იოსებ ჭანტურია, მოსე ხომერიკი, ილია კალაძე, გრიგორი კოპალეიშვილი, პეტრე ნინიძე, ბარ- ნაბა დოლიძე, აქესენტი ნადარეიშვილი.

დღეს, 16 თერვალს, ქართული დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილ იქნება ბ. სვიმონიძის საბენეფისოთ ახალი დრამა „მურად-ფაშა“. ბ. სვიმონიძე 15 წელიწადია ემსახუ- რება ჩვენ სცენას.

ქუთაისში ამას წინეთ თავს დასხმიან საქალაქო სასწავ- ლებლის მასწავლებელს ზელინსკის, ძალზე უცემიათ და ცო- ცხალმკვდარი იქვე თბრილში ჩაუგდიათ. შემთხვევით გამე- ლელ ქალებს შეუძინებიათ ვასისხლიანებული მასწავლებელი და თოფურის საავანტიურაში წაუყვანიათ. გამოძიება წარ- მოგბს.

როგორც პეტერბურგიდან ვგატყობინებენ ქალაქი ოზურგეთი სამი წლით გაუნთავისუფლებიათ პოლოცის შესანახ ხარჯებისაგან.

მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ რუსეთიდან ვადმოსახლებულთ მიეცეთ კავკასიაში უვადო სახელმწიფო ჩიწები.

უმაღლეს მთავრობას საბოლოო გადაწყვეტია გამოაცალკეოს ქუთაისის გუბერნიისაგან. ბათუმის და ართვინის ოლქები და სრულიად დამოუკიდებელი ოლქები შეადგინოს. ეს გამოცალკეება მოხდება მდგომარე წლის პირველ ივლისს. საოლქო გამგეობა დაწესდება ბათუმში.

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი „სიმღერა“ აკაკისა. გამოცემა ს. შერკვილაძისა. ფასი 15 კაპ.

ბაქოში ამ დღეებში დაუარსებიათ „პირველი ბაქოს ამხანაგობა მამაკაც-მკვრელთა“. ამხანაგობაში 12 კაცი ჩაწერილა და თითოს საერთო კასაში 50 მანათი შეუტანია. საზოგადოების მიზანია უმთავრესათ ის, რომ ხელმისაწვდომ ფასათ და რიგიანათ ასრულონ დაკვეთილი სამუშაო და ამით მყიდველები მოაშორონ იმ მალაზიებს, სადაც შეკერილი ტანისამოსი იყიდება, უმთავრესათ ცუდი ხელობისა.

ამ წლის პირველ ივლისიდან მოისპობა გადასახადები, რომელიც საქონლის პატრონებზე იყო გაწერილი საქონლის ქირის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

გათავდა ბექედა პროფ. დ. ი. ჩუბინაშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონისა. ლექსიკონი მზათ იქნება გასაყიდათ ამ მოკლე ხანში და ელირება 2 მან.

1902 წლის განმავლობაში დაუმუშავებიათ კავკასიაში 706 მილიონამდე ფუთი ნავთი, 3 მილიონამდე ქვა-ნახშირი, 6 ნახევარ მილიონ ფუთზე მეტი სპილენძის მადანი, 3 მილიონზე მეტი მარილი და 25 მილიონამდე შავი ქვა.

ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსს განკარგულება მოუხდენია,—იმ მოიჯარადრეებს აღარ მისცეთ საიჯარო საქმეებიო. თუ ვინცობაა, ამგვარმა მოიჯარადრემ კონკურსში მონაწილეობა მიიღოს, მისი მოქმედების შესახებ მაინც უნდა ეცნობოს საბჭოს, რომელიც მის კონკურსიდან გამორიცხავს, თუნდაც რომ გამოცხადებული ქონდეს დაბალი ფასებიო.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს განუმარტავს, რომ სახალხო სასწავლებელთა დირექტორებს თვითონ დამოუკიდებლათ შეუძლიათ საკვირაო სკოლების გახსნის ნებაოთვის მიცემა.

უმაღლეს მთავრობას, როგორც „ნოვ. ობოზ“-ს ატყობინებენ, შეუწყნარებია კავკასიის სამოსწავლო ოლქს მზრუნველის შუამდგომლობა ხონის საოსტატო სემინარიის შენობის გადაკეთებისა და გაფართოების შესახებ. აქ საქმისათვის ხაზინიდან გადაუღვიათ 51,970 მანათი.

იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ თფილისის დედათა წმ. ნინოს სასწავლებლის უფროსი კნ. შახოვსკია თანამდებობას თავს აწებებს.

ბათუმის ქალაქის მოურავისა, გამგეობის ერთი წევრისა და მდივნის არჩევანი გადაუღვიათ 24 მარტისათვის.

ეროვნული

როგორც ვუწყით, ამ უკანასკნელ ხანს მსოფლიოში ბა სწვადახვა საქონელი ამიერ კავკასიის რკინის გზის ვაგონებიდან. ახლა ამ გზის გამგეობას დაუწესებია ცალკე განყოფილება, რომელსაც საგნათ ექნება ამ დაკარგულ საქონლის მოძებნა.

ქალაქის თვითმართველ ობას განუზრახავს ქალაქის საშუალებით ქუთაისში ტელეფონის გამართვა. ჯერ-ჯერობით 70 აბონენტი ჩაწერილა. პროექტს უკვე აღგენენ, როგორც გამომანგარიშებულა, ტელეფონის გამართვა დაჯდება 15,000 მანათი.

კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების გამგეობა საზოგადოების ხარჯით შეუღდა მეორეთ გამოცემას ბ-ნ ა. ხახანაშვილის თხზულებისა: „რა საზღვრებში ვსტოვრობდენ ქართველები ძველ დროს მცირე აზიაში“.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ქალაქის გამგეობამ განიზრახა მიხეილის ქუჩაზე არსებულ, ეგრეთ წოდებულ ნემცოთა არხის გაუქმება. ამისთვის განსაკუთრებული კომისიაც დაინიშნა. ეხლა კომისიის ერთმა წევრმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ არხი კერძო კაცთა საკუთრებას შეადგენს და თუ იმის გაუქმებაა საჭირო, ქალაქმა უნდა გამოისყიდოს, რასაც 80,000 მანათამდე დასჭირდებაო.

ხორცის ღუქების გამგემ ვრცელი მოხსენება წარუდგინა ღუქების გამგე კომისიას. გამგეს აზრით, რაც შეიძლება ჩქარა უნდა გაიმართოს 4 ახალი ღუქანი კიდეც. 7 ღუქნის მოსაწყობათ ქალაქს დასჭირდება 25,000 მან., რასაც ღუქნები გაისტუმრებენ 10 წლის განმავლობაში. საწარმოვო თანხათ წელიწადში ღუქნებს დასჭირდებათ 65,000 მან. და სათადარიგო თანხათ 75,000 მან.

კორექტორდენციები.

ოზურგეთი. იყო დრო და ჰატარა ოზურგეთიც ზრთგულის გზაზე გამოსული ჩქარი ნაბიჯით წინ ისწრაფდა. ეს ის დრო იყო, როცა ინტელიგენცია საერთო ძალით ცხოვრებას სთავაშუი ედგა და ამოძრავებდა: როცა დრო-გამაშუებით თავშეუფრად სოზოგადოებას რჩეულ წიგნებისა კითხვით და აფხი-ზღებდენ და ათეოტნობიერებდენ; როცა წიგნთ-საცავ-სამკითხველს უარებელი ხელსა აწეებოდა და ესეეოდა, მათ შორის მოსწავლე ახალგაზდობაც, სადაც მათ სრულად უსასეიდლოდ აწვდიდენ განებისთვის საღ საზრდოს და მით კითხვის ხელისს და ჭეშმარიტი ცადხის შექმნის სურვილს უღვიძებდენ და უძლიერებდენ; როცა წარმადგენები წარმადგენებზე იმართებოდა, სალიტერატურრო სადამოებს სალიტერატურრო სადამოები მოსდგება; როცა... აზრი და განება მოძრავდება, საქმე კეთდებოდა, ცხოვრება სდულდა, ბობოქრობდა და ტადლებს ტადლებზე ისფრდიდა... მაგრამ დრონი იცვალენ,—და ოზურგეთმაც სხანახობა გამოიცვალა! ის შედგა, შეტარტმანდა და ერთბაშით რეგრესისკენ ჰირი იბრუნა. და დღეს, ჭკელ-ჭკელ თცებების მალაღ ფარდებში (რკინის გზა, ზრთგომ-ნახია...) შეფიფი, სარაკათა სთვექმს, ცხოვრება მისი, დღეს კი ხაკს-მეკიდებუდი თდნაგ იძვრის და ბუჭტავს... ხოლო ინტელიგენცია, ერთ დროს ცრცხლი და მოძრავი, დღეს, შენ-ჩემობის—ჰარტიზანობით მისუსტებუდი, არხინისთ განსეეებს...

„არსით ხმა, არსით ძახილი“!.. თქვენ თავს ეკითხებით: ექვან წინა დროს, ექვან თვალი-შეკრება გამოდგინებულა და ოზურგეთში ვი? — ძილი, ძილი და ძილი არც თვალი, არც სხვა რაიმე, არც წიგნი-სწავლა-სამკითხველი და არც სხვა რაიმე-განებრივი გასართობი! სამაგიეროდ სმარობს სამოქალაქო კლუბი, რომლის ერთადერთი დანიშნულება (წესდება დიდი ხანია დაიწყო) არის ამოცანა (და ეს იმავე გამოცანაა, რომ აქ თავმოყრილი საზოგადოება და მისი მ-დგან გათენებშია, დიდი გულმოდგინებით ვაბის დაცვა-დაცვა და გონებრივ-სწავლადი და დრო-გაქრობა-სწავლა, „თეორიის“ სემინარის, ესე იგი, ბანქა-ბანას შექმნა... სმარობს ახალგაზრდა ვაჟ-სახს, (პროგრესიული მოკლენა წინა-დროს „მის-ბიჭების“ ისტორიაში!), სხვა-განა მოკლენა იქნა „მოქმედება“ ბალის დამხალ დახვეწილ, ცხვირ-დაბრუნებულ რატონტადან; სხვა-განა ბიჭების დიმიტრები, ვახუშტი და ასე გასინჯეთ, სამოქალაქო სასწავლებლის ზოგიერთი მოსწავლე-ბიჭი ვი (ან ვი ვინ ვართ მათ დამხალ-დამარცხებელი?)... კომ-კომებს რეიტორანი, — ეს მეორე ნაუ-სადგურა ოზურგეთელ და ახლამხალ სოფელ ჩოხოსების, სხვა სწავლებს კლუბისა და ვახუშტისებური „თეორია“ ე. ი. „ხეივანი“ — „სტრასი“ ნარდი და სხვ., იმ განსხვავებით, რომ აქ გეომეტრი უდრელი „ქუჩა-ქუჩა და დრო“... „აკომპანი მტრული“... და სხვათა წითელ „ხეივან“ გადარულ ვაჟ-ბიჭების ისეთ წრე-გადასულ თვით-ნებობა-გარეგნულობის ცხად ნიშნებს, როგორცაც მკ. მოწამენი ვიყავით 15 თებერვალს რეიტორანის ქუჩაზე შემთხვევით გამოვლენა...

შეიძლება დროგამოშვებით ავიშვებთ მკვრათ თავალი: ქართული თეატრის მისიონი № სტენის-მოყვარეთა და მხარებით ამ და ამ სახლში წარმოდგენას გამართავს. თქვენც, რა თქმა უნდა, სინა-რულით მიეშურებით, „თეატრისკენ“ შეადგებთ კარებს და... გაცნობული რჩებით: ერთ-გოწრო, ბიჭ და ბიჭ დასმულ სარდალში თავი მოუერთათ 70 კაცად, — ტყუა ადარ არის! სომხელი ჩიხელი და უწეს-რიგობა! კუნტულში ხედავთ რ-ამ ძელს და მის გარ-შემო ჭერდგან უშნით ვადმშებულ დეკორაციის ნაფლეთებს, სხვადასხვა ბიჭის ეკლას მოქმედებებში ერთი და იგივე სანახაობით, ეს განსაკუთრებით „სტენის“ ახუ სტენის კარიკატურა, რომელსე-დაც არა თუ ბიჭის თამაში, უბრალო მოძრაობაც ვი მოუხერხებელი და წარმოუდგენელია... თავდება „წარმოდგენა“ და თქვენც მიდებულა შთაბეჭდილებით მწარეთ დაკადილი უკანვე ბრუნდებით. ეს არის და ეს! მაგრამ ამასაც ვი, — შეიძლება წელიწადში რ-სამხელ ედინოსთ.

დასასრულ, თუმცა თეატრის აუცილებელმა საჭიროებამ დიდი ხანია მიიწერა საზოგადოების ერთი ნაწილის უურადდება, დიდი ხანია ახლამხარა მკვიდრთა საუკეთესო ელემენტი და, ასე გასინჯეთ, შენობისათვის საძირკველც ვი ხაყრეგინა ქალაქის ყოფილ მოუხერხებელ-თავდგომებს, მაგრამ დღემდე საქმის სისრულეში მოყვანას მანც არა ეშვება რა... ჩვენებურმა რ-მარხანმა კინკლავობა-ზარტი-ზანობამ აქც იყენა გამოყენ და ამ ფრად კეთილ და სიმბატორ საქმეს დასაწვისივე ბოლო მოუღო! დღესაც, — როცა თეატრის მოთხრობილება იმდენად გაფართოვდა და მომწიფდა, რომ მის და-საკმაყოფილებლათ თვეში ერთი წარმოდგენაც ვი შედრებით ცო-ტაც, — გვესმის ისევე მხოლოდ მითქმა-მითქმა, მხოლოდ სიტყვები და ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს მოუნდებით მათ გარემო უჩი-დავით ტრიალ-სტრიალს! კიდევ რამდენ ხანს ვაძრანშებთ არარა-ბამდე მიმყვან საზიარად ანგარიშების ჯურღმულში, ასე დაწვრილ-მანკებულნი, განაცარქვედავებულნი და წვედადით მოსილნი?!..

იუბიტერი.

რუსეთის ცხოვრება.

— „ფინლიანდ. კახ“ დაბეჭდილია: 25 თებერვალს ამ წლის გამოვიდა ბეჭდვით იმპერატორის ბრძანება, რომ სამხედ-

რო სამსახურში გასაყვანთა განმხილველი კომისიის სხდომა გასინჯე-რათ იყენ ცნობილი, თუ მას თავმოყრილ და რი წევრი დაესწრო, ხო-ლო გასაყვან ბირთა შესამოწმებლათ სკამრისათ იქნეს-ცნობილი ერთი კვირი. ეს ზომები შამოცხებულა დროებით და გამოწვეულა ბეჭდვ-გი გარემოებით. 61 მუს. ძალით სამხედრო სამსახურში გასა-ყვანთა განმხილველი კომისია უნდა შედგებოდეს, შესდგება გარდა აღმინსტრაციის მიერ დანიშნულ ბირებისა, კიდევ საზოგადოება-თაგან (ობშინის) არჩეული სამი წარმომადგენლისაგან. რეკლამი-ციონური ზარტიის აგიტაციის გამო, რომელსაც ამ მხარეში ძლიერ დიდი გავლენა აქვს, საზოგადოებებს უარო უთქვამთ წარმომადგენ-ლების არჩევაზე, რომ ამ ხანათ წევრთა კანონიერი რიცხვი სხდო-მებისათვის არ შეიძლება. 25 თებერვალს ბრძანება სწორეთ ამ მოქმედებით არის გამოწვეული და სურს გვერდი აუაროს: ქუდას შესაძლებელ საქმის შეფერხებას. რადგან ის კანონიერათ თვლის სხდომებს, როცა მას სამი ბირი ესწრება, საზოგადოებათა მიერ არჩევა თუ არ არჩევა წარმომადგენელთა კარგავს თავის მხო-შებელობას.

— ფინლიანდიის ბეჭდვითი საქმის მთავარმა გამოცხადებამ სამ ადგილობრივ კახეთს კიდევ გამოუჩნდა გაფრთხილება სხვადასხვა წერილების დაბეჭდვისათვის.

— ვაჭრობა-მრეწველობის კომიტეტმა დაადგინა: ყოველი ქა-რხის ვაჭარებულა დაარსოს კასა მუშების დასახლევით. თუ ქარ-ხანას რაიმე მიზეზის გამო, არ შეუძლიან ამისთანა კასის დაარსე-ბა, ვაჭარებულა ეს გარემოება ანობოს ქალაქის საქარხნო ინსტი-ტუციის, და უკანასკნელი ამ შემთხვევაში საერთო კასის გახსნის რამდენიმე ქარხნის მუშებისათვის. კასის საქმეებს განაგებს მუშებისგან არჩეულ რწმუნებულთა საზოგადო კრება და კასის გამოცხადება. მუშე-ბისა და ქარხნის ზარტონების რწმუნებულთა რიცხვი იმასდაკარათ უნდა იყოს, თუ რამდენი ფული აქვს შემოტანილი ორავე მხარეს (1/4 მუშებს შემოაქვს, 1/4 ქარხნის ზარტონებს). კასის გამოცხადის წარმომადგენელი ქარხნის ზარტონისაგან დანიშნება. ადგილობრივ ინსტიტუციას ერთი კვირით წინ უნდა აცნობოს, თუ რა დღეს იქე-ბა მოწვეული საზოგადო კრება, უნდა შეატყობინოს აგრეთვე ამ კრების ეკლას დადგენილებანი. საზოგადო კრებებს რწმუნებულნი მუშები წლოვანობით 25 წ. ხაკლები არ უნდა იყოს.

სასლავარ-გარეთ.

ზარმანი. ბრუსიის დემოკრატთა პალატაში აღმრულ იქნა ვითხვა ქალების უნივერსიტეტში დაშვების შესახებ. ქალთა უფ-ლებების დამცველთა გამოვიდენ შემარცხენე დემოკრატები მიუღწერი და ერნესტი, რომლებიც იმ აზრს ამტკიცებდენ, რომ ქალებს თანასწორი უფლებები უნდა ქონდეთ მამაკაცებთან. ისინი ამტკი-ცებდენ, რომ საჭიროა ქალებს ზოლიტიკური უფლებებიც მივანი-ჭოთ და არაერთად ცუდი შედეგები არ მოყვება მკ. იმას, რომ დემოკრატთა პალატაში რამდენიმე ქალი დემოკრატები იყვნენ. კონ-სერვატორები ძველებურათ ამტკიცებდენ, რომ ქალთათვის თვით ბუნებას ოჯახის კერა მიუნიჭებია და ამას გარეშე მისთვის არ-ფერა საჭირო არ არის. გაჭირვებულ მცოდნეობაში ჩაყარდა განათლების მინისტრი შტუდტი. შემარცხენები არ კმაყოფილდებიან მარტო იმით, რომ ის იცავს ქალთა უფლებას უმადეს სასწავ-ლებელში შესვლისას. შემარცხენეთ კიდევ ვერ მოუხერხებიათ, რომ მან რამდენიმე ქალთა გიმნაზიუბა გახსნა შარკოტტენბურგს, შენე-ბორგის კელნს და სხვ. ახლა შტუდტი საუკრებოსათ მიიწინა არავითარი დაბრება არ მიეცა მთავრობის სახელათ. თუმცა კამათა გადაწყვეტილი შედეგი არ მოიცხან, მარა მანც მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დემოკრატთა პალატაში ისე კატეგორიულათ გამო-ქვა აზრი ქალთა უფლების გაფართოების შესახებ.

— სამხედრო ბიუჯეტის განხილვამ გერმანიაში დიდი გ-ათი გამოაწვია, სხვათა შორის შეეხენ იმ გარემოებას, რომ

ხედავთ აუარებელი ხარჯისა, ჯარის კაცების მდგომარეობა არარის გაუმჯობესებულა. ამასთანავე ცნობილი დეპუტატი ბებელი შეეხი-
 იმას, რომ გერმანიისა ჯარის კაცები დად ტანჯვა წვალებში არან
 თავის უფროსებისაგან. სამხრეთ კავკასიაში, დასავლეთ ლატ-
 ვიისკაში, უკრაინა, სადაც კი ნემრურ სიტუაცია გაიგონებს კაცა,
 —სიქვა მან, — უკლაგან ბრძოლა-მოქმედებას გავრცელებულა, უკლა-
 გან იხარება მრავალტანჯულა ხალხი. ბებელმა მოიყვანა აუარებ-
 ელი ფაქტები. ხეშინისა და დრუზდენში 1901 წლ. განმავლობაში
 სასამართლოს მიერ დასჯილ იქნენ 4 ათადური, 31 უნტრაფი-
 ცერი და 30 უბრალო ჯარის კაცა. 1902 წელში — 7 ათადური,
 14 უნტერი და 23 უბრალო ჯარის კაცა. და ამასე მეტ საქმეს
 სასამართლოს კარებამდე არ მიუღწევია. და რამდენ ასისა და თასის
 შემთხვევას არ მიუღწევია სასამართლომდამდე კაცარებში ცხოვრე-
 ბა ისე განცხადებული კი არაა, როგორც სტენანსე ცხოვრება. კა-
 ზარმა ცხვირწინ გვიდგია და იმავე დროს თითქოს 9 მთას იქით
 იყოს გადავარგულა, ისე დამოკრებულია. მერე რამდენი დრ. მება
 ხდება ამ კაცარებში, რომლის (დრამების) გმირები უნტრაფიც-
 რებისა. ეს ზოსადოგისვის აზრით, კულშემატიკარნი დელობ-
 რივი სიყვარულით დასავსე გმირები, აი რ.ებს სხადან: ელოგაში
 უნტრაფიცერი რეკრუტებს განუბრებული ფეხის წინ თამაშებდა
 გიმნასტიკას. უტურგრათ დამტკიცებულა 135 შემთხვევა, როცა
 მას უნდებოდა და სასტრავთ უწკალებია ჯარის კაცნი და ამისთვის
 გადაუწვიტეს... 5 თვით დაზარალებია ჩინის აუხდელათ. ფრანკ-
 ფურტი შინსე უნტრაფიცერი გეო მხეცურა საქციელისთვის,
 რომელც 77 შემთხვევაში დაუმტკიცდა, დასჯილ იქნა 3 თვით
 დაზარალებით. მორე უნტერი ასეთავე მოქმედებისთვის მხოლოდ
 ერთი გვირით იქნა დაზარალებული, თუმცა ერთმა მისგან დასჯილ-
 მა ჯარის კაცმა ვერ აიტანა ტანჯვით ცხოვრება და თავი დაიხრჩო.
 ჩვენ არ შეუდგებით უკლა იმ ფაქტების ჩამოთვლას, რომელიც
 მოიყვანა ბებელმა, აღწინასწართ მხოლოდ ერთს, რომელიც მოხდა
 შლეზვიგ-გოლშტინიაში. მტარვალა — უნტრაფიცერი, გრასსკა,
 მსხვერპლი — რეკრუტი — ფრებელი. მოწვეტილი თაკის სოფელს,
 ტახანის კუჩას გლეხი ვარდება კაცარმაში, სადაც მას ბიკელივე
 წუთიდან აკრძნობინებენ, რომ ამას იქით უნდა გამოესაღმოს თა-
 ვის „მეს“, რომ ის მხოლოდ მანქანას სხვის ხელში სათამაშო
 ბურთია. რეკრუტიც უნდობ ბირებში, შეუხვეველ კარემბებებში ჩა-
 ვარდნილი, სასტიკი კაცარების დისციპლინის გავლენით, კარგავს
 საკუთარ ნებას და უფრომტკილი მონა ხდება უფროსისა, აკრძმა-
 ტათ იტევა „მხრუნველ“ უნტრაფიცერის ხელში.. მხოლოდ ამით
 ახსნება ასეთი შემთხვევა: რეკრუტმა სწავლების დროს თხავა
 უნტრის — კარეთ გასვლა მინდაო. უნტერ აფიცერმა უარი უთხ-
 რა. რეკრუტმა ვერ შეძლო მოთმენა და გაისვარა... ნუ გეცინებათ,
 შეითხველო... ეს კომიკური იქნებოდა, რომ ტრავიკული შედეგი
 არ მოელოდა. სწავლების გათავების შემდეგ უნტრმა უბრძანა
 ჯარის კაცებს სათათაო ეტემათ „დამნაშავე“ რეკრუტისთვის.
 ჯარის კაცებმა ასრულეს ბრძანება. მერე უკამანდა: „ჯარის კაცო
 გაუთიეთ, ეს დროი კი აქ დარჩესო“. ჯარის კაცები გაუადენ, ჯა-
 ლათი და მსხვერპლი დარჩენ ბირისბირ. უნტრმა იმიშვლა ხმალი
 და უბრძანა: „კახინადე შალვარო“... რეკრუტმა ასრულა ბრძანე-
 ბა. „შეჭამე ესო“... რეკრუტი გაშეშდა. რა ექნა არ იცოდა.
 უნტრმა ბრძანება განუმეორა და ხმალი დაკრა ურჩ რეკრუტს.
 ფრებელს შეეშინდა, ის ცანცანმა აიტანა, ის ხელავდა, რომ ამსა-
 ნაკებმა უნტრის ბრძანებით ჯერ ცემეს და მერე მარტკა ამ ჯა-
 ლათთან დაგდეს, მას შეეშინდა სიკვდალას და ამკვარათ აღასრუ-
 ლა უნტრის ბრძანება! ამან გულის რევა დამართა და ბირი აღე-
 ბინა. მხეცმა უნტრმა უბრძანა ესეც შეეჭამა, რაიც ასრულებულ
 იქნა... უკლაფერი ეს სასამართლოს წესით დამტკიცდა და უნ-
 ტრის ჩინის ახდა და 1 1/2 წლით ცხეში ჯდობა გადაუწვიტეს.

დას, შიშივე, აუტანელია ის ატმოსფერა, რომელიც ცხოვრობს
 გერმანიის ქალაქების „საფუსკელი“: ამათ არ ჯდება მშვიდო-
 ბიანი შრომა თოფ იარაღით ხელში!

ბაკალონია. მაკედონიის კომიტეტი დასავლეთურად
 აკრძანის. განუწვევტელი ემარტება რეკლიფიციონებებს ახალ-ახა-
 ლი ჯგუფები. ამ ერთი თვის განმავლობაში კომიტეტი თერთმე-
 ტი ახალი სოფლისთვის დაურეგებია თოფ-იარაღი. თუმცა მთავ-
 რობის მოხელენი გაფაციცებით თვალუჩნს ადვენებენ კომიტეტის
 მოქმედებას, მარა ის მანც ასურებს იარაღის დარიკებას და გა-
 დატან-გადმოტანას. ბევრი მოხელეთაგანც თურმე ხელს უწევს
 მათ, და ამისთვის კამაგირს იღებს კომიტეტისგან. ადგი-
 ლობრივი ბოღვარული მიუხედავთ ევროპიელთა ჩაცხებისა,
 მშვიდობიანობა დაცვათით, ძლიერ აღეკებულა არიან. კომიტე-
 ტის აკრძებს დიდი გაკლენა აქვთ მათში და უკლაფერი მისათა
 აჯანუბის დასაწევბათ. 40 ბოღვარული ამას წინათ შესევია სო-
 ფელ ბომის და რამდენიმე სხელი დაუწვავს; ადგილობრივმა ჟან-
 დარმეობამ დამით აღეა შემთარტყა მკამოხსეთ, რომელნიც ერთ
 სახლში იყვენ. უანდარმების მოთხოვნილებასე დაგვებდითო, ბოღ-
 ვარელებმა თოფების სრულით უზასუნეს. მორე დღეს 27 თე-
 ბურვალს სოფელს 200 ჯარის-კაცი შადგა გაირდონ ბეის წინაშე-
 ლობობით. მკამოხებმა მანც მასწარეს მთებში გადასაღვას, მხო-
 ლოდ რამდენიმე კაცი დაკარგეს.

— აღბანელთა ცნობილი ბელადი ისსა ბაღეტინაცი, რომე-
 ლიც ქინაღმდეგებოდა მიტრფიციაში რუსეთის საკანსულას და-
 აჩსებას და ამისთვის მცირე აზაში გაგზავნეს დასაბატიმრებლათ,
 თურმე გაჭედილ და მიტრფიცისაკენ წასულა. მას დიდი გავლენა
 აქვს იმ ოლქის მცხოვრებთა შორის, სადაც რეკრუმების შემოდე-
 ბას მიტრულათ უფურებენ.

თავ. ვრ. აბაშიძის გარდაცვალებაზე.
 (მისივე ლექსი — გალავთბული).
 მგოსანო! ტკბილათ მიძგერდა გული,
 შენდამი ტრფობით გატაცებული,
 ახლა ველარ გჭვრეტ, — მწარეთ ვსტირი მე...
 შენ შემოგველე, შენი ჭირიმე!
 იყავ სიმღერა და სიყვარული,
 თან უკვდავება და სიხარული,
 მაგრამ მარიდე, მზეო, პირი მე...
 შენ შემოგველე, შენი ჭირიმე!
 ბრალის თათებით შენი სიმთ ჟღერა,
 აწ ჩემმან ყურმან ისმინოს ვერა...
 მიტომ ცრემლს ვაფრტვევ, მიტომ ვსტირი მე...
 შენ შემოგველე, შენი ჭირიმე!
 შენ მომივლინე შვება, ნათელი,
 შენ გამიქარწყლე კვნესა, ნალველი...
 წახვედ... მეწვია ტანჯვა, ჭირი მე...
 შენ შემოგველე, შენი ჭირიმე!
 შენი მონა ვარ, შენი ვარ მცველი,
 შენი, მგოსანო, შენი მლოცველი;
 შენივ აჩრდილი და თან გზირი მე...
 შენ შემოგველე, შენი ჭირიმე!
 გვემუდარები, ნაზო ბუღბუღო,
 როდესაც მოკვდე, იქმნე უსულლო
 და დაგაფარონ მიწის პირი შენ,
 ერთი გიტროთ, ცრემლი ვღვაროთ ჩვენ...
 აჰა, მგოსანო, აკი ვსტირი მე...
 შენ შემოგველე, შენი ჭირიმე!

ბ. ახოს-პირელი.

დრ. რედ. ნ. იაკ. აღეკსივე-მესხიშვილი
 გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.